საქართველოს მთავრობის

დადგენილება №2

2026 წლის 12 იანვარი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/09/2015, 130030000.10.003.018893) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ №2 დანართს („სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხა“) დაემატოს შემდეგი შინაარსის 31-ე მუხლი:

„**მუხლი 31.** ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, ობიექტების დაცვის დეპარტამენტის, დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტისა და ოპერატიული უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების ახალი მშენებლობის და ამ შენობა-ნაგებობებისთვის ჩატარებული/ჩასატარებელი რეკონსტრუქციისა და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ. ცნობები აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის დროს გამოყენებული სამშენებლო-სარემონტო მასალის, ტექნიკური საშუალებებისა და ძალების შესახებ.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ნორმის მოქმედება გავრცელდეს ამავე დადგენილების ამოქმედებიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**